



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 42

2016 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ზოგიერთი საგრანტო პროექტის მოხსნის შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის, „სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2016 წლის 11 იანვრის N02 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის 2016 წლის 18 აპრილის სამსახურებრივი ბარათის (N388459) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საგრანტო პროექტები.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მკავანაძეს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

N	შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სათაური	დარღვევა
ა) არ დასტურდება პროექტის ხელმძღვანელის მეცნიერებათა დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი				
1	SS16_A_008	სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი - თრიალეთი	არქეოლოგიური საზაფხულო სკოლა - თრიალეთი	პროექტის ხელმძღვანელი არის მაგისტრი. პროექტში ჩართულ პირთა შორის არც ერთს არ აქვს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.
2	SS16_B_040	ა(ა)იპ „ფსიქოკორექციისა და ფსიქოდიაგნოსტიკის სახლი დენდრონი“	სეზონური სკოლა ზ არტ-ფსიქოლოგია - „ფსიქარტი“	პროექტის ხელმძღვანელი წარმოადგენს დოქტორანტურის სტუდენტს. წარმოდგენილია დოქტორანტურის სტუდენტის ცნობა.
ბ) პროექტში არ არის ჩართული უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე სამეცნიერო ან აკადემიური თანამდებობის მქონე კომპეტენტური პირი				
1	SS16_B_024	პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	იმუნოლოგიის შემოდგომის სკოლა	სეზონური სკოლის პროექტში ჩართული არ არის უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე სამეცნიერო ან აკადემიური თანამდებობის მქონე კომპეტენტური პირი.
2	SS16_B_041	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ლიტერატურის თეორიის ზამთრის სკოლა. მოდერნიზმი ლიტერატურაში	სეზონური სკოლის პროექტში არ არის ჩართული უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე სამეცნიერო ან აკადემიური თანამდებობის კომპეტენტური პირი.
3	SS16_B_030	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გამოყენებითი ბიოფიზიკის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში	სეზონური სკოლის პროექტში ჩართული არ არის უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე სამეცნიერო ან აკადემიური თანამდებობის მქონე კომპეტენტური პირი. წარმოდგენილია დანიელა უხრიკოვას საბუთები და დაინტერესების წერილი სრულად, ეს პიროვნება არ არის ნახსენები პროექტში და არ იკვეთება მისი როლი.